პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 137 (11443)
სამშაბათი
16
ივნისი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პურს მკიან ალაზნის ველზე

სიღნაღი. (ტელეფონით). კარგა ხანია რაიონის კოლმეურნეობების მინდვრებში ქერს მკიან. 14 ივნისს კი დაბა წნორის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის ალაზნისპირა მინდვრებში დაიწყო პურის მკა.

მცხუნვარე მზემ გააფიცხა პურის ყანები თუ არა, კოლმეურნე კომბაინერებმა ი. ბაგალიშვილმა, ა. ნარინდოშვილმა და ლ. ყურაშვილმა მკა გააჩაღეს „სტალინეც-6“ მარკის კომბაინებით. პირველ დღეს მათ მკის დავალება გადაჭარბებით შეასრულეს, თვითეულ ჰექტარზე 20-22 ცენტნერი მარცვალი გალეწეს.

მეორე დღეს კი პურის მოსავალი 40 ჰექტარზე აიღეს. მემინდვრეობის ბრიგადა, რომელსაც ფ. მოლაშვილი ხელმძღვანელობს, მკას მარცხნივ ბული შეხვდა. წითელწყაროელთა მიმართვის პასუხად გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება.

სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებმა გადაწყვიტეს პურეულის მოსავლის აღება 10-12 ხამუშაო დღეში დაამთავრონ.

ᲞᲔᲡᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ-ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ

დღეს, 16 ივნისს, ჩვენი ძლევამოსილი სოციალისტური სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში იხსნება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა.

ამ გამოფენას უდიდესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. იგი არა მარტო ჩვენი ქვეყნის გრანდიოზულ მიღწევათა დათვალიერებაა, არამედ მოწინავე გამოცდილების საყოველთაო-სახალხო სკოლაც არის. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარი მიზანია აქტიური პროპაგანდა გაუწიოს მრეწველობისა და ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის მოწინავე გამოცდილებას, აგრეთვე მეცნიერებისა და კულტურის დარგში მოპოვებულ უდიდეს მიღწევებს. რაც მთავარია, გამოფენის ძასალების შესწავლა დიდად შეუწყობს ხელს სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებას, შვიდწლიანი გეგმის დიადი ამოცანების სასახელოდ განხორციელებას.

განუხრელად ახორციელებს რა პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებს, საბჭოთა ხალხმა უდიდესი წარმატებები მოიპოვა მრეწველობის. სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. სწორედ ეს მიღწევები იქნება დემონსტრირებული გამოფენის ოთხ განყოფილებაში. ჩვენებისათვის წარმოდგენილ მასალებში ასახული იქნება ჩვენი ქვეყნის მშრომელთა გმირული ბრძოლა მშობლიური კომუნისტური პარტიის დიად წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის.

ისევე, როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების თვალსაჩინო მიღწევები, გამოფენაზე ფართოდ იქნება ნაჩვენები ჩვენი რესპუბლიკის მიღწევებიც მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში. გამოფენის დამთვალიერებლებს შესაძლებლობა იქნებათ საერთო-საკავშირო და რესპუბლიკურ პავილიონებში, მრეწველობისა და ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის განყოფილებებში გაეცნონ საქართველოს მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა. კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეების შემოქმედებითი შრომის შედეგად მოპოვებულ თვალსაჩინო წარმატებებს. გამოფენის სხვადასხვა პავილიონებისა და განყოფილებების სტენდები დამშვენებული იქნება თბილისის მეტალისური ქარხნის, რუსთავის მეტალურგიული, ქუთაისის საავტომობილო და მანქანათმშენებლობის, თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების და რესპუბლიკის მრავალ სხვა საწარმოთა ექსპონატებით.

საქართველოს სამრეწველო საწარმოთა ბევრმა კოლექტივმა შარშან და მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში სასახელო მაჩვენებლები პოიპოვა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საქმეში. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ბევრმა ბრიგადამ, ცალამ და ცალკეულმა ნოვატორებმა. ამ მხრივ აღსანიშნავია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის წარჩინებული მეფოლადე, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი არჩილ ძამაშვილი. მისი სახელი საქვეყნოდ არის ცნობილი. რესპუბლიკის საწარმოო კოლექტივებს შორის იგი ერთ-ერთი პირველი გახდა კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნის ინიციატორი. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მან გეგმის გადამეტებით გამოუშვა ასობით ტონა თუჯი, ტონა თუჯის მიღებაზე იანვარში დახარჯა 891 კილოგრამი, ხოლო თებერვალში — 873 კილოგრამი კოქსი ნაცვლად 910 კილოგრამისა. სწორედ ამ მიღწევებით გახდა ა. ძამაშვილი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილე. ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივებიდან გამოფენის მონაწილეთა შორის არიან კომუნისტური შრომის ბრიგადების ხელმძღვანელები: რუსთავიდან — შ. სპანდიაშვილი, ტყიბულიდან — შ. კუბლაშვილი, თბილისის ელმავლისაშენებლო ქარხნიდან — გ. ჩადუნელი, სოხუმის თამბაქოს ფაბრიკიდან — უ. ებანოიძე და სხვა საწარმოთა ათობით ადამიანი.

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნე გლეხობამ შარშან მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის ბრძოლაში. განსაკუთრებით თვალსაჩინოა მიღწევები ჩაის მწვანე ფოთლის წარმოების გადიდების საქმეში. ,ყარგი მოსავალი იქნა მიღებული ყურძნის, ხილის, თამბაქოს და მთელი რიგი სხვა კულტურებისა. სწორედ ამ წარმატებებმა განაპირობა ის, რომ გამოფენის მონაწილეებად ფართო ჩვენებით დამტკიცებულიყვნენ: ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობა, რომელმაც შარშან საშუალოდ ჰექტარზე 5.200 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობა (ჰექტარზე საშუალოდ მოკრიფა 5.560 კილოგრამი ჩაის ფოთოლი), გუდაუთის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც საშუალოდ ჰექტარ ვენახზე მოიყვანა 211 ცენტნერი ყურძნის მოსავალი, გურჯაანის რაიონის სოფელ შაშიანის კოლმეურნეობა, — საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფა 144 ცენტნერი ყურძენი, სტალინირის რაიონის სოფელ ვანათის კოლმეურნეობა (ჰექტარზე საშუალოდ მოკრიფა 221,5 ცენტნერი ვაშლი). გამოფენაზე ფართო ჩვენებით დამტკიცებული არიან რესპუბლიკის სხვა კოლმეურნეობებიც, აგრეთვე კოლმეურნეობათა ცალკე მოწინავე ბრიგადირები, მერგოლურები და კომუნისტური შრომის ადამიანები, — სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის ოსტატები. ცნობილი მეჩაიე ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თ. ყუფუნია, სოციალისტური შრომის გმირები გ. ჯინჭარაძე, ტ. ჩხაიძე, ი. ბულისკერია; მ. რჩეულიშვილი (გორის რაიონიდან), ნ. ბერუაშვილი (სტალინირის რაიონიდან), ი. აბაშიძე (გურჯაანის რაიონიდან) და სხვ.

საქართველოს სახალხო მეურნეობის აღმავლობის საქმეში დიდი წვლილი შეაქვთ რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებებს, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკებს. საქართველოს მეცნიერებმა შექმნეს ბევრი ისეთი საყურადღებო და დიდმნიშვნელოვანი რამ, რამაც აღიარება ჰპოვა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც.

რა ფართოც უნდა იყოს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მონაწილეობა ამ დიდმნიშვნელოვან გამოფენაზე, მოპოვებული წარმატებებით დაკმაყოფილება მაინც არ შეიძლება. ამოცანა ის არის, რომ ყველაფერი ახალი, მოწინავე, პროგრესული, რაც წარმოდგენილი იქნება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, ღრმად შეისწავლოთ, განვაზოგადოთ და ფართოდ დავნერგოთ საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მრავალფეროვან დარგებში, ამით კიდევ უფრო ვამრავლოთ ჩვენი წარმატებანი და მომავლისათვის უზრუნველვყოთ, რათა გამოფენაზე ჩვენი რესპუბლიკიდან მონაწილეობდნენ უკვე ათეულობით კოლექტივები და ასეულობით კომუნიზმის დაუცხრომელი მშენებელი ადამიანები.

ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ

რუსთავი. (საკ. კორ.). ცემენტის ქარხანამ, რომელიც ჩაბმულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, მორიგ გამარჯვებას მიაღწია, 15 ივნისს, 15 დღით ადრე, შეასრულა ცემენტის გამოშვების ნახევარი წლის სახელმწიფო დავალება. ამავე პერიოდში სანარმომ შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანა 1.500.000 მანეთი. მიღწეულია მაღალი შედეგები შრომის ნაყოფიერების ზრდის, თვითღირებულების შემცირებისა და სხვა ეკონომიური მაჩვენებლების მიხედვით.

წარმატებებით ხვდებიან რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმს, რუსთავის მეცემენტიერებმა იკისრეს ახალი ვალდებულება — პლენუმის გახსნის დღისათვის სახელმწიფოს მისცენ ათეულ ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი ცემენტი.

ტყიბული, 15 ივნისი. (საქდესი). ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას, ვად ზე 16 დღით ადრე შეასრულა ქვანახშირის კონცენტრატის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა.

დაწერგა რა შრომატევადი პროცესების მექანიზაცია და განახორციელა მთელი რიგი რაციონალიზატორული წინადადებანი, საწარმოს კოლექტივმა 0,6 პროცენტით შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება. მიღწეულია 280 ათასზე მეტი მანეთი ეკონომია. ეს თანხა შეტანილია შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში.

ფაბრიკის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა პლენუმის გახსნის დღისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვას 8 ათასი ტონა ქვანახშირის კონცენტრატი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ

15 ივნისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში რესპუბლიკის სკოლების მასწავლებლებს გადაეცა სიგელები საქართველოს სსრ სკოლის დაბსახურებული მასწავლებლის წოდების მინიჭების შესახებ. ეს წოდება მათ მიენიჭათ სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი მუშაობისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება წაიკითხა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ბ. გელდიაშვილმა.

საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის სპატიო წოდების მინიჭების შესახებ სიგელები გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ძოწენიძემ. სიგელები მიიღეს თბილისის 29-ე საშუალო სკოლის მასწავლებელმა მ. მ. აბაშმაძემ, რკინიგზის მესამე საშუალო სკოლის მასწავლებელმა დ. ს. ბაბტაძემ, თბილისის 55-ე საშუალო სკოლის მასწავლებელმა დ. ი. გიორხელიძემ, თბილისის 44-ე სკოლის მასწავლებელმა ე. კ. ნაუმენკომ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მათემატიკის მეთოდური კაბინეტის გამგემ ი. ა. შტეინბერგმა და სხვებმა, სულ 20 კაცმა.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს თბილისის 43-ე საშუალო სკოლის დირექტორმა გ. ა. კორსაველმა და რკინიგზის მეექვსე საშუალო სკოლის მასწავლებელმა გ. გ. არუთინოვმა. მათ დიდი მადლობა გამოთქვეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი მასწავლებლებზე დიდი ზრუნვისათვის, მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის.

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ძოწენიძემ. მან გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ საპატიო წოდების მიღება და უსურვა წარმატება მუშაობაში. (საქდესი).

ᲘᲪᲜᲝᲒᲓᲔᲗ, ᲛᲐᲗ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲩᲘᲜᲔᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲨᲘ

ᲒᲐᲚᲘ. ბიბიკო ჭობალიამ სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 90 კილოგრამი ჩაი ნაცვლად 20 კილოგრამისა, **ნინო გაბისონიამ** — 101 კილოგრამი, **ლილი გოლანდიამ** სოფელ მუხურის ჯგუმბურიას სახელობის კოლმეურნეობაში — 92 კილოგრამი ჩაი.

ᲐᲑᲐᲨᲐ. **როზა ჯოჯუამ** სოფელ მაიდნის კოლმეურნეობაში მოკრიფა 65 კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად 18 კილოგრამისა, **პოლინა ჯანგველაძემ**—55 კილოგრამი. **ნაგული ცომაიამ** და **თამარ ცომაიამ** სოფელ ნოვოხაშის კოლმეურნეობაში ფოთლის კრეფის დღიური ნორმა ორმაგად შეასრულეს.

ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲕᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲗ

კოლმეურნეობაში მაის-ივნისში უნდა მოგვეკრიფა 180 ტონა ჩაი. ეს დავალება 8 ივნისისათვის გავანაღდეთ. მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს ივნისში გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 50 ტონა ჩაის ფოთოლი.

ამ დღეებში კოლმეურნეები დიდი ხალისით შრომობენ და პირობას იძლევიან ახალი წარმატებებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გახსნას. უველაზე წინ მდის კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც ი. კონჯარია ხელმძღვანელობს. ეს ბრიგადა ყოველდღიურ დავალებას 130-150 პროცენტით ასრულებს. მეტი ჩაისათვის შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ის ბრიგადები, რომლებსაც ა. ლომაია, პ. გელენიძე, მ. თოდუა და ჯ. კაკაშვილი ხელმძღვანელობენ.

კოლმეურნეობაში დადი ავტორიტეტით სარგებლობს მეჩაიე მადარი ფიშკარიანი, რომელიც დღეში 100-120 კილოგრამ ჩაის კრეფს.

წინა წლებში კოლმეურნეობაში დღეში იკრიფებოდა 7-8 ტონა ჩაის ფოთოლი, წელს კი ვკრეფთ 10-14 ტონას. წელს ჩაის ფოთლის უხვი მოსავალი გვაქვს. აქედან შვიდღეთ სულ ცოტა 4,5 მილიონ მანეთ ფულად შემოსავალს. ეს დაახლოებით 1 მილიონი მანეთით მეტია შარშანდელ ფულად შემოსავალზე.

Შ. ᲙᲘᲞᲘᲐᲜᲘ,
ბობის რაიონის ახალბიბეულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადაზე ადრე — 14 ივნისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა. მოკრეფილია 12.552 ტონა ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12.545 ტონისა, ანუ შარშანდელთან შედარებით 2.200 ტონით მეტი.

მახარაძელმა მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს 1 ივლისისათვის გეგმის ზევით მოკრიფონ 2.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

• • •

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ რაიონის მშრომელებმა პირობა გაანაღდეს. 13 ივნისისათვის შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მაის-ივნისის დავალება. მოკრიფეს 3.504,2 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.473 ტონისა.

რაიონის მეჩაიეებმა პირობა დადეს ივნისში გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 700 ტონა ჩაის ნედლეული.

• • •

ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘᲡ რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადაზე ადრე — 15 ივნისისათვის 101 პროცენტით გაანაღდეს ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა. მოკრეფილია და ფაბრიკებს გადასამუშაებლად ჩაბარდა 3.015 ტონა ჩაი, ანუ შარშანდელთან შედარებით 874 ტონით მეტი.

რაიონის მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს ივნისში გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 600 ტონა ჩაის ნედლეული.



სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა. ხალხთა მეგობრობის მოედნის ხედი.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ

კიევი, 13 ივნისი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოსული სტუმრები, რომლებიც აქ იმყოფებიან, დღეს განაგრძობდნენ უკრაინის დედაქალაქის გაცნობას.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ულბრიხტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრთა ჯგუფი ამხანაგ ფ. რ. კოზლოვთან და ნ. ვ. პოდგორნისთან ერთად დილის საათებში შეხვდნენ უკრაინელ მეცნიერებს. სტუმრები ეწვივნენ უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტს. აქ მათ დაათვალიერეს მრავალრიცხოვანი ლაბორატორიები, გაეცნენ სამეცნიეროსაკვლევ მუშაობას, რასაც ეწევა ინსტიტუტი.

ინსტიტუტის კოლექტივის წინაშე ალოცვა წარმოთქვა პროფესორმა პ. ტისენმა — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკურ გამოკვლევათა საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოთა უკრაინის მეცნიერებს ახალი წარმატებანი უსურვა ვ. ულბრიხტმა.

დელეგაციის წევრები — დიდი ბერლინის ობერ-ბურგომისტრი ფ. ებერტი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მაგდებურგის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ა. პისნიკი და სხვები გაეცანენ ქარხანა „წითელ ექსკავატორში“.

ქარხნის დათვალიერების შემდეგ გაიმართა საბჭოთა კავშირ-გერმანიის მეგობრობის მიტინგი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. გროტეოლი უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ტ. კალჩენკოსთან ერთად ეწვია უკრაინის ხელოვნების მუზეუმს. საპატიო სტუმრთა წიგნში ო. გროტეოლმა ჩაწერა, რომ მან მუზეუმში გაატარა ბევრი მშვენიერი წუთი და მადლობა გადაუხადა მხატვრებს.

პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრთა ჯგუფი, რომელსაც მეთაურობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პ. შოლცი, გაემგზავრა საგარეუბნო სასოფლო რაიონში.

კიევი, 14 ივნისი. (საკდესი). მესამე დღეა საბჭოთა უკრაინის დედაქალაქში სტუმრად არის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია.

დღეს დილით გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ულბრიხტმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. გროტეოლმა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სხვა წევრებმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილემ ფ. რ. კოზლოვმა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ვ. პოდგორნიმ, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დ. ს. კოროტჩენკომ, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ტ. კალჩენკომ დაათვალიერეს უკრაინის სსრ სახალხო მეურნეობის მოწინავე გამოცდილების გამოფენა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები ეწვივნენ დღეს საბჭოთა არმიის მეომართა სამარადისო დიდების პარკს და გვირგვინით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი. ობრეშუმის ფართო ლენტს აწერია „სამარადისო დიდება ძლევამოსილი საბჭოთა არმიის გმირებს!“ საბჭოთა არმიის მეომრებს, რომლებიც დაიღუპნენ თავიანთი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციისაგან“.

კიევის ღირსშესანიშნაობათა გაცნობის შემდეგ სტუმრებმა საბჭოთა ამხანაგებთან ერთად გაისეირნეს დნეპრზე.

უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭომ საღამოს სადილი გამართეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

კიევი, 15 ივნისი. (საკდესი). კიევში სამი დღის ყოფნის შემდეგ დღეს ქალაქ გორკში გაემგზავრნენ ვ. ულბრიხტი, ო. გროტეოლი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სხვა წევრები.

კიევის აეროდრომზე გერმანელი სტუმრები გულთბილად გაეცალნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ფ. რ. კოზლოვმა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ვ. პოდგორნიმ, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დ. ს. კოროტჩენკომ, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ტ. კალჩენკომ და უკრაინის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებმა, საბჭოთა უკრაინის დედაქალაქის მშრომელთა ბევრმა წარმომადგენელმა.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲒᲝᲠᲙᲘᲡᲐ

ᲒᲝᲠᲙᲘ, 15 ივნისი. (საკდესი). დღეს ვოლგის ქალაქის მშრომელები გულითადად და გულღიად შეხვდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებს.

სტუმრების შესახვედრად გორკის აეროდრომზე მივიდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გორკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ვ. ეფრემოვი, საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ი. ი. ჩუგუნოვი, ქალაქ გორკისა და ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მშრომელთა წარმომადგენლები.

ვ. ულბრიხტს, ო. გროტეოლს და პარტიის და მთავრობის დელეგაციის სხვა წევრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გორკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ნ. ეფრემოვმა.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ პ. შოლცმა.

აეროდრომიდან გერმანელი სტუმრები გაემართნენ ქალაქში. მთელ გზაზე მათ მიესალმა ბევრი ათასი გორკელი.

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲝ, ᲛᲘᲰᲒᲐᲫᲔᲗ Გ. ᲓᲝᲚᲘᲫᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗ!

ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲢᲔᲮᲔᲜ

სამგორის რაიონის მარტყოფის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებზე მალე შემოვა პურეული, მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღებისათვის მარტყოფელი მექანიზატორები ყველაფერს აკეთებენ. წესრიგში მოჰყავთ კომბაინები ტრაქტორები და პურეულის მკისთვის საჭირო სხვა დამხმარე იარაღები.

კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის (ხელმძღვანელი ა. ნიკოლაიშვილი) განკარგულებაში 5 კომბაინია. კომბაინერებად წელს იმუშავებენ გამოცდილი მექანიზატორები: თვითონ ბრიგადირი ა. ნიკოლაიშვილი, ა. რაზმაძე, მ. მინჯიკაშვილი, ს. შოშიაშვილი და დ. გუგუნაშვილი. როცა გაეცნენ წითელწყაროს რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორთა მომართვას პურეულის მოსავლის ათ სამუშაო დღეში აღების შესახებ, მათ აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს 5 კომბაინით 800 ჰექტარზე პურეულის მოსავალი უდანაკარგოდ აიღონ ათ სამუშაო დღეში. მუშაობა ისე მოაწყონ, რომ თვითეული კომბაინი დღეღამეში 18-20 ჰექტარზე იღებდეს პურეულს, მკის მთელ სეზონში საწვავი დაზოგონ სულ მცირე 15 პროცენტი, საგრძნობლად შეამცირონ ხარჯები. მოსავლის აღების პარალელურად ნაკვეთები გაწმინდონ ნამჯისაგან და ნაწვერალზე დათესონ სიმინდი.

ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲔᲡᲣᲚᲘ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲐᲘᲦᲔᲑᲔᲜ

მეზეთის მადლიან მიწაზე სიმწიფეში შედის პურეულის უხვი მოსავალი, მალე ველის ხომალდები შეუტევენ ოქროს ზღვასავით მოელვარე ყანებს. ბევრგან მექანიზატორებს მოსავლის ასაღებად მზად აქვთ კომბაინები, ელოდებიან პურეულის აღების სიგნალს.

სოფელ წილკნის კოლმეურნეობის მექანიზატორი ვლადიმერ მაისურაძე, როცა გაეცნო წითელწყაროელთა პატრიოტულ მოწოდებას შეიდწლედის პირველი წლის პურეულის მოსავლის ათ სამუშაო დღეში აღების შესახებ, სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება და იკისრა:

პურეულის მოსავლის აღება 220 ჰექტარზე დაამთავროს ათ სამუშაო დღეში, ამასთან პურეულის აღება, სადაც შესაძლებელია, მოაწყოს პროგრესული წესით — ორ ფაზად, მანქანის საღღეღამისო წარმადობა აიყვანოს სულ მცირე 20 ჰექტარამდე, მოსავლის აღებისთანავე მოაწყოს ნაკვეთის ნამჯისაგან გაწმენდა, ხვნა და სიმინდის ნაწვერალზე დათესვა, მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში აღებასთან ერთად ყურადღება მიაქციოს საწვავის დაზოგვას, პურეულის ნათესის თვითეულ ჰექტარზე მოსავლის აღების ხარჯების შემცირებას, ბუნკერიდან მარცვლის გადმოცლა აწარმოოს აგრეგატის გაუჩერებლად, თავთავიანი მარცვლეული კოლტორების მოსავლის აღებასთან ერთად ნაყოფიერად იმუშაოს საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის მტკიცე ბაზის შექმნაზე.

ამ ვალდებულებათა სასახელოდ შესრულების მიზნით კომბაინერი ვ. მაისურაძე შეჯიბრებაში ჩაება ამავე რაიონის ჩარდახის კოლმეურნეობის კომბაინერ შალვა ბოლაცაშვილთან.

Შ. ᲓᲔᲡᲘᲝᲨᲕᲘᲚᲘ.

დიადი გარდაქმნების ქალაქი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით საკავშირო სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო და მშენებლობის გამოფენები გაერთიანდნენ ერთ მთლიან — საკავშირო სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენად.

სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარი ამოცანაა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების, აგრეთვე მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მიღწევების აქტიური პროპაგანდა და მათი ფართოდ დანერგვა პრაქტიკაში.

გამოფენის ტერიტორიაზე ეწყობა ახალი პავილიონები მოკავშირე რესპუბლიკების დარგობრივი და პერიოდული გამოფენებისათვის. უახლოეს ორ-სამ წელიწადში დამატებით აშენდება სამი დიდი პავილიონი. ამ მშენებლობაზე 240 მილიონი მანეთი დაიხარჯება. დაგეგმილია მიმდინარე წელს დაიწყოს საქართველოს ახალი პავილიონის მშენებლობა. ახალი პავილიონების მშენებლობასთან და თვით გამოფენის დანიშნულების შეცვლასა და გაზრდასთან დაკავშირებით 143 ჰექტარით გადიდდა გამოფენის ფართობი.

გამოფენაზე ნაჩვენები იქნება ჩვენი ქვეყნის მიღწევები მრეწველობაში, მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში. ტრანსპორტის, კულტურის, განათლების, ხელოვნების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების განვითარებაში.

საქართველოდან გამოფენაზე მონაწილეობის სურვილი განაცხადეს და ექსპონატები გაგზავნეს თბილისის მექანიკურმა, რუსთავის მეტალურგიულმა, ქუთაისის საავტომობილო, მანქანათმშენებლობის, თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების, მსუბუქი და კვების მრეწველობის და სხვა საწარმოებმა.

გამოფენაში ფართო მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია მათში შემავალი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებით.

ფართოდ არიან წარდგენილი მოწინავე კოლმეურნეობები და მათი პროდუქცია.

შარშან საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს და გამოფენის მონაწილეებად დამტკიცდნენ: ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობა, რომელმაც ყოველ ჰექტარ ჩაის პლანტაციაში 5.200 კილოგრამი ჩაის ფოთოლი-მოკრიფა, ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობა, რომელმაც ყოველ ჰექტარ ჩაის პლანტაციაში მოკრიფა 5.560 კილოგრამი ფოთოლი, გუდაუთის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც ყოველ ჰექტარ ვენახში მიიღო 211 ცენტნერი ყურძენი, გურჯაანის რაიონის შაშიანის კოლმეურნეობა, რომელმაც საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფა 144 ცენტნერი ყურძენი, სტალინირის რაიონის სოფელ ვანათის კოლმეურნეობა, რომელმაც ყოველ ჰექტარ ხეხილის ბაღში მიიღო 221,5 ცენტნერი ვაშლი, ლაგოდეხის რაიონის კალინინის სახელობის, მახარაძის რაიონის ლენინის სახელობის, ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის, მარნეულის რაიონის სვერდლოვის სახელობის და სხვა კოლმეურნეობები, რომლებმაც შარშან სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი მიიღეს.

ახალი წესით გამოფენის მონაწილეებად ითვლებიან აგრეთვე ის მუშები, კოლმეურნეები, ქარხნის, საწარმოს, კოლმეურნეობის ხელმძღვანელები, ხელოვნების, კულტურის და სხვა მუშაკები, რომლებმაც უშუალო მონაწილეობა მიიღეს სახალხო მეურნეობის მიღწევებში და გამოფენაზე საჩვენებლად გაგზავნეს თავიანთი პროდუქცია-ექსპონატები.

გამოფენის მონაწილეთა შორის არიან რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ძამაშვილი, რომელმაც მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გეგმის გადამეტებით გამოუშვა ასობით ტონა თუჯი და თვითეული ტონა თუჯის მიღებაზე იანვარში დახარჯა 891 კილოგრამი, ხოლო თებერვალში— 873 კილოგრამი კოქსი ნაცვლად 910 კილოგრამისა; ამავე ქარხნის ფოლადის მდნობელთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი მ. სპანდიაშვილი, რომლის ბრიგადამ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცა ასობით ტონა ფოლადი და 6 პროცენტით გაზარდა შრომის ნაყოფიერება, დაზოგა 75 ტონა მაზუთი; სოხუმის თამბაქოს ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი უ. ებანოიძე, რომელიც 1 მილიონი პაპიროსის თვითღირებულება შეამცირა 500 მანეთით; ტყიბულელ მეშახტეთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი შ. კუბლაშვილი, თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი გ. ჩადუნელი და მრავალი სხვა.



დღეს იხსნება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა

მელითონეთა, მანქანათმშენებელთა, მეშახტეთა გვერდით გამოფენის სტენდებზე საპატიო ადგილებს დაიკავებენ საქართველოს მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები, მათ შორის — ზუგდიდის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თ. ყუფუნია, რომლის ბრიგადამ 12 ჰექტარი ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მოკრიფა 8.261 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი გ. ჯინჭარაძე, რომელმაც მასზე მიმაგრებულ ჩაის ნაკვეთში ჰექტარზე გადაყვანით მოკრიფა 16.820 კილოგრამი ფოთოლი, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი ტატიანა ჩხაიძე, გალის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი ი. ბულისკერია, გორის რაიონის სოფელ ქვეშის კოლმეურნეობის ბრიგადირი მ. რჩეულიშვილი, სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის კოლმეურნეობის ბრიგადირი ნ. ბერუაშვილი, გურჯაანის რაიონის სოფელ შაშიანის კოლმეურნეობის ბრიგადირი ი. აბაშიძე და სხვ.

წელს პირველად საკავშირო სახალხო მეურნეობის გამოფენაზე საქართველოს პავილიონში მნახველები გაეცნობიან გამოჩენილი ქართველი მეცნიერების ნ. მუსხელიშვილის, გ. მელიქიშვილის, ა. ჯანელიძის, ე. ხარაძის, ვ. მახალდიანის და სხვების საშრომებს.

გამოფენა მუდმივად იმუშავებს. ამიტომ ექსპონატების, მოწინავე ადამიანების, მათი მიღწევების გამოვლინება, შერჩევა და ჩვენება, გამოფენაზე ექსპოზიციის შეცვლა იწარმოებს განუწყვეტლივ, მთელი წლის განმავლობაში.

ყოველივე ამან პასუხისმგებლობის გაზრდასთან ერთად გააოდიდა შესაძლებლობა დროულად ვაჩვენოთ ყველა ახალი მიღწევა, ვუჩვენოთ წარჩინებული ადამიანები, რომლებსაც ყოველდღიური, დაუღალავი შრომით ღირსეული წვლილი შეაქვთ იმ გრანდიოზული ამოცანების განხორციელებაში, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ დაუსახა საბჭოთა ხალხს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

გ. მირონაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საკავშირო სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მომზადების ჯგუფის უფროსი.

* * *

სურათზე: *გამოფენის ერთი კუთხე.*

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

★ ★ ★

მასალეგი — მშენეგლეგს

მარგანეცის ქალაქში ფართოდ არის გაშლილი საბინაო და სამრეწველო ნაგებობათა მშენებლობა. მისი წარმატება თუ ჩამორჩენა ბევრად არის დამოკიდებული საშენ მასალათა და კონსტრუქციულ ნაგებობათა კომბინატის კოლექტივის მუშაობაზე.

აქ ახლახან შეიქმნა რკინაბეტონის საამქრო, რეკონსტრუირებულია ხის დამმუშავებელი საამქრო, კომბინატის კოლექტივმა აითვისა შენობების რკინაბეტონის სარტყლების, კოჭების, ფანჯრის ზემო საყრდენების, კანალიზაციის მილების წარმოება. მესამე კვარტალში გამოუშვებენ ოთახთა შორის ტიხარს მსუბუქი ბეტონისაგან. იდგმება სართულთაშორის გადასახური მრავალღრუებიანი ფილების დამამზადებელი დაზგა.

კომბინატში თავდადებული შრომით გამოირჩევა კომუნისტური შრომის სახელისათვის მებრძოლი დურგალთა ბრიგადა, რომელსაც მ. გონგლაძე ხელმძღვანელობს. ბრიგადაში თორმეტი ქალიშვილია. თერთმეტს საშუალო განათლება აქვს, ხოლო ერთი — მერი კუსიანი მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის მეათე კლასში სწავლობს.

საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ქალიშვილები ელენე ქიმაძე, იზო აბჟანდაძე, მედიკო დემეტრაშვილი, იზო ქამუშაძე და სხვები საწარმოში საუცხოოდ მუშაობენ, თან ემზადებიან დაუსწრებლად უმაღლესი განათლების მისაღებად.

ასევე წარმატებით მუშაობენ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები ელენე კობაშვილი, ლილი ლომიძე, გოგოლია ბიწაძე. ეს უკანასკნელი დაუსწრებლად სწავლობს თბილისის სამშენებლო ტექნიკუმში.

ადრის მუშებიდან მამაკაცურად შრომობენ მებეტონე ბ. ცხადაძე, ხუროები ს. სამხარაძე და პ. გოგოლაძე.

პ. ჰიოკაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მექანიზაციის სამსახურში

შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის დარგებში კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვას. ამიტომ არის, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი დაუცხრომლად ზრუნავს ტექნიკური პროგრესისათვის.

მექანიზაციის სახეთა შორის ჰიდრომექანიზაცია ერთ-ერთი პროგრესული და პერსპექტიულია. პირველად საბჭოთა კავშირში ტყიბულის შახტებში გამოყენებულ იქნა ჰიდრომექანიზაციის ერთი სახე — გამონამუშევარი სივრცის ჰიდრავლიკური ვსება, რაც მეტად მნიშვნელოვან ეკონომიურ ეფექტს იძლევა. ახლა ჰიდრომექანიზაცია სულ უფრო ფართო გამოყენებას პოულობს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

ჰიდროტრანსპორტი გამოიყენება ჭიათურის მანგანუმის მადნის გამამდიდრებელ ფაბრიკებში და ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის ცენტრალურ გამამდიდრებელ ფაბრიკებში. ჰიდრომექანიზაციას იყენებენ ჰიდროელექტროსადგურების სარეგულაციო აუზების გასაწმენდად, მდ. რიონის ნაპირების ასამაღლებლად, კოლხიდის დაჭაობებული ადგილების ამოსავსებად.

მაგრამ ეს სრულებითაც არ არის საკმარისი. რესპუბლიკაში სუსტად იყენებენ ჰიდრომექანიზაციის განვითარების ხელსაყრელ პირობებს. რასაც შეუძლია მილიონობით მანეთის ეკონომია მოგვცეს.

საჩხერის რაიონში არის მაღალხარისხოვანი ქვიშების დიდი მარაგი. ეს ქვიშა შეიძლება გამოყენებულ იქნას მეტალურგიულ და კერამიკულ მრეწველობაში, საჭირო აღარ იქნება ქვიშების შემოწიდვა მოძმე რესპუბლიკებიდან.

საჩხერის ქვიშები ჰიდროტრანსპორტით შესაძლებელია გამოიზიდოს ზესტაფონამდე. ამასთან. მოსახერხებელია ქვიშების მოპოვება ჰიდრავლიკური მეთოდით. რაც მთავარია, ჰიდროტრანსპორტს შეუძლია შეუფერხებლად იმუშაოს ყოველგვარ ამინდში.

მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტის მოცემა შეუძლია შახტებში ქვანახშირის ნარჩენების გარეცხვა-გადარჩევას ჰიდროტრანსპორტირებით. ასეთი გამდიდრებით ნარჩენების ნაცრიანობა 70-75 პროცენტიდან შეიძლება დავიყვანოთ 45 პროცენტამდე. კუზბასის ბატურინის საბადოში ასეთი გადარჩევით ყოველწლიურად დამატებით იღებენ დიდძალ ქვანახშირს. ძალიან ხელსაყრელია აგრეთვე ქვანახშირის ჰიდროტრანსპორტირება შახტებიდან გამამდიდრებელ ფაბრიკამდე ტყიბულში. ხოლო ტყვარჩელში — საბაგირო და რკინიგზის ტრანსპორტის შეცვლა ჰიდროტრანსპორტით ქვანახშირის საზიდავად შახტებიდან თბოელექტროსადგურამდე და აკარმარამდე.

საჭიროა მკვეთრად გაუმჯობესდეს ჰიდრომექანიზაციის გამოყენება კოლხიდის ჭაობების დასაშრობად. ამჟამად ამ სამუშაოებს ორი მიწისმწოვი დანადგარი ასრულებს. მათი რაოდენობა უნდა ავიყვანოთ არანაკლებ ოცამდე. ამის საშუალება არის, რადგან ამ დანადგარებს თითის ქარხანა ამზადებს. ამის გარდა, საქმე ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მუშაობის სეზონი გრძელდებოდეს არა ნაკლებ თერთმეტი თვისა.

კოლხეთის ჭაობების დაშრობის ეკონომიური და სამეურნეო მნიშვნელობა მეტად დიდია. ამის მიხედვით დიდი მნიშვნელობა აქვს მდ. რიონის ნაპირების ამაღლებას.

ჩვენს რესპუბლიკაში ჰიდრომექანიზაციის განვითარების ყველა პირობა არსებობს. ეს პირობები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, რაც საშუალებას მოგვცემს მკვეთრად ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება სახალხო მეურნეობის ბევრ წამყვან დარგში.

ა. ჯვარშვილიშვილი.

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

გიგანტების მხარდამხარ

ვლადიმირელთა ინიციატივამ იმის თაობაზე, რომ ნაკლები დანახარჯით და უფრო სწრაფად, ვიდრე ახალი მშენებლობის დროს, გადიდდეს პროდუქციის გამოშვება მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ნაწილობრივი გაფართოების გზით, მხურვალე მხარდაჭერა პოვა რუსთავის მეტალურგებს შორის. აქ გადაწყვიტეს ბრძმედის ერთ-ერთი ღუმელის კაპიტალური რემონტის დროს, რომლის ჩატარება გათვალისწინებულია 1960 წლისათვის, მოახდინონ მისი რეკონსტრუქცია და გადაიყვანონ ბრძმედი სახარგებლოდ მიაჩნიათ ზოგიერთი ცვლილება შეიტანონ ფოლადის დნობის ტექნოლოგიაში. ამით თუჯში წინასწარ ამოიწვება მინარევები და ერთდროულად ოთხი საწარმოო პროცესი შესრულდება.

უკვე შემუშავებულია ამ სიახლის დანერგვის კონკრეტული ღონისძიებანი. დამონტაჟდება ორი მოწყობილობა. რაზეც მილიონობით მანეთი დაიხარჯება. ერთი შეხედვით, ეს თითქოს დიდი თანხაა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამით საწარმო დაახლოებით 1.5-ჯერ გაადიდებს ფოლადის გამოშვებას, ამასთან ხარჯს 6 თვეში აანაზღაურებს და წლიურად 20-25 მილიონი მანეთის მოგებას მიიღებს. ნათელი გახდება მეტალურგთა ამ ჩანაფიქრის დიდი მნიშვნელობა

ტექნიკური პროგრესის დარგში ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად ამიერკავკასიის ი. ბ. ტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა მკვეთრად გაადიდებს თუჯის, ფოლადის ნაგლინის გამოშვებას და მხარში ამოუდგება ჩვენი ქვეყნის მოწინავე მეტალურგიულ გიგანტებს.

ზ. მერკვილაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

კომუნისტური მშენებლობის თეორიული პროგლემეგი

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ყოვლისმძლე დროშით

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიულმა XXI ყრილობამ კიდევ ერთხელ ცხადყო მსოფლიო სოციალისტური სისტემის მონოლითური ერთიანობა და უძლეველობა, ყველა ქვეყნის მარქსისტულ-ლენინური პარტიებისა და მთელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური სოლიდარობა.

სკკპ XXI ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს 72 ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციებმა. იმ მოძმე პარტიებმა, რომლებმაც ვერ მოახერხეს ჩამოსულიყვნენ მოსკოვში, მისალმება გამოუგზავნეს ყრილობას. 40 წლის წინათ კომინტერნის პირველ კონგრესზე წარმოდგენილი იყვნენ 30 ქვეყნის კომუნისტური პარტიისა და ორგანიზაციის დელეგაციები, მაშინ პარტიის წევრთა რაოდენობა მხოლოდ რამდენიმე ასეულ ათას კაცს შეადგენდა; ამჟამად მარქსისტულ-ლენინური პარტიები შექმნილია 83 ქვეყანაში და ისინი თავიანთ რიგებში აერთიანებენ 33 მილიონზე მეტ კაცს (მათ შორის სოციალისტურ ქვეყნებში — 28.330 ათასზე მეტს, კაპიტალისტურ ქვეყნებში კი — 4.670 ათასამდე კაცს). ეს საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ძალისა და ძლიერების, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დარაზმულობის, შემჭიდროებისა და ზრდის მკაფიო მაჩვენებელია.

მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ასეთი მასობრიობა და მტკიცე სოლიდარობა მარქსისტულ-ლენინური პარტიების ხანგრძლივი გმირული ბრძოლის შედეგია. მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებმა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა ჯერ კიდევ 1847 წელს მათივე ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული „კომუნისტთა კავშირის“ დროშაზე გამოკვეთეს ისტორიული ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ამ ინტერნაციონალური მოწოდებით დაამთავრეს კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა საერთაშორისო პროლეტარიატის პირველი პროგრამული დოკუმენტი —„კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ და საერთაშორისო მუშათა ამხანაგობის — პირველი ინტერნაციონალის „დამფუძნებელი მანიფესტი“.

ეს მოწოდება პროლეტარული სოლიდარობის საბრძოლო დევიზი გახდა მსოფლიოს ყველა ქვეყნის კომუნისტებისა და მშრომელებისათვის. საუკუნეზე მეტია ამ ეპოქალური ლოზუნგით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი დროშით იზრდება და მტკიცდება საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის სოლიდარობა, რომელმაც განვითარების ახალ, უმაღლეს ეტაპს მიაღწია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და განსაკუთრებით სოციალიზმის ქვეყნების ძლევამოსილი მსოფლიო სისტემის შექმნის შემდეგ. წინათ ინტერნაციონალური სოლიდარობის ბუნებრივი მატარებელი მხოლოდ საერთაშორისო პროლეტარიატი იყო, ახლა კი მასთან ერთად პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით არიან გამსჭვალული ყველა ქვეყნის მშრომელთა ფართო მასები, განსაკუთრებით მოწინავე სოციალისტური ერები, რომლებიც წარმოიშვნენ და აყვავდნენ სსრ კავშირში და რომლებიც წარმატებით ყალიბდებიან და ვითარდებიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში და მთელი კაცობრიობის მესამედზე მეტს შეადგენენ. საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის უძლეველი სოლიდარობა სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებელი ქვეყნებისადმი მსოფლიოს მშრომელთა უსაზღვრო სიყვარულსა და მხარდაჭერაში პოულობს თავის უმაღლეს გამოხატულებას. სკკპ XXI ყრილობამ თავის რეზოლუციაში ხაზგასმით აღნიშნა: „თანამედროვე ეტაპზე კომუნისტური მშენებლობის ამოცანების განსაზღვრაში სკკპ XXI ყრილობა ემყარება იმას, რომ საბჭოთა კავშირი შევიდა ისტორიული განვითარების ახალ ხანაში. სოციალიზმმა ჩვენს ქვეყანაში სრული და საბოლოო გამარჯვება მოიპოვა. წავიდა ის დრო, როცა საბჭოთა კავშირი ერთადერთი სოციალისტური სახელმწიფო იყო, რომელიც მტრულ კაპიტალისტურ გარემოცვაში იმყოფებოდა. ახლა არის ორი მსოფლიო საზოგადოებრივი სისტემა: დრომოჭმული კაპიტალიზმი და მზარდი სასიცოცხლო ძალებით აღსავსე სოციალიზმი, რომლის მხარეზეა ყველა ქვეყნის მშრომელთა სიმპათია“.

სოციალიზმის ქვეყნებისა და კაპიტალისტური სახელმწიფოების მარქსისტულ-ლენინური პარტიების ეროვნული და ინტერნაციონალური ამოცანები განუყოფელია. ამა თუ იმ ქვეყნის მუშათა კლასის ეროვნული საქმის წარმატება წარმოუდგენელია ისე, თუ არ არსებობს სხვა ქვეყნების მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობა. კომუნისტური მოძრაობა ვითარდება ეროვნულ ჩარჩოებში, მაგრამ ამავე დროს იგი მთელი თავისი ბუნებითა და მიზანდასახულობით ინტერნაციონალურია, განუყოფელია ყველა ქვეყნის მუშათა რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისაგან. მთელი მსოფლიოს კომუნისტურ და მუშათა პარტიებს საერთო მიზანი და ინტერესი აქვთ. ამიტომ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის სოლიდარობა და მონოლითური ერთიანობა სავსებით კანონზომიერია, ბუნებრივია და თვითეული პროლეტარული პარტიის ბრძოლა გათავისუფლებისა ყველგვარი საფრთხის წინააღმდეგ მისი უმაღლესი ინტერნაციონალური მოვალეობაა.

მოძმე პარტიებს შორის ურთიერთობა შენდება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მარქსისტულ-ლენინურ პრინციპებზე, საერთაშორისო მუშათა კლასის ეროვნული რაზმების სრული თანასწორუფლებიანობისა და დამოუკიდებლობის საფუძველზე. თვითეული კომუნისტური ან მუშათა პარტია მარქსიზმ-ლენინიზმის სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით იმუშავებს თავისი მოქმედების პროგრამას, პოლიტიკასა და ტაქტიკას საკუთარი ქვეყნის კონკრეტული პირობების შესაბამისად და წარმოადგენს თავისი ქვეყნის ეროვნულ ძალას, მუშათა კლასისა და მთელი მშრომელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების გამომხატველს. ამისდაიუხედავად, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ინტერნაციონალური ერთიანობის ძლიერებით დამშენებული ექსპლოატატორული კლასების იდეოლოგები, პოლიტიკოსები და რევიზიონისტები პროლეტარული პარტიების წევრებსა და ხელმძღვანელებს წინათ აცხადებდნენ „უცხოელ აგენტებად“, „მოსკოვის აგენტებად“, ახლა კი ისინი გაჰკივიან მოძმე პარტიების მიმართ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ე. წ. „ჰეგემონიზმზე“. კომუნიზმის მტრების ყოველივე ეს უბადაღებული მონაჰკონი მტკნარი სიცრუეა, მიმართული საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მონოლითური ერთიანობის წინააღმდეგ. მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში არ არიან „ზემდგომი“ და „ქვემდგომი“ პარტიები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული მისია ის კი არ არის, რომ „უხელმძღვანელოს“ სხვა ქვეყნების მარქსისტულ-ლენინურ პარტიებს, რომლებსაც შესწევთ უნარი თვითონ, დამოუკიდებლად განაგონ თავიანთი საქმეები, არამედ ის, რომ თავისი მაგალითით, როგორც სოციალიზმისაკენ პირველმა გზის გამკაფავმა პარტიამ, მდიდარი გამოცდილება გაუზიაროს მოძმე პარტიებს, რომლებსაც მიაჩნიათ იგი თავიანთ მოწინავე რაზმად, „დამკვრელ ბრიგადად“, რომელიც პირველი მიიმართება კომუნიზმის მწვერვალებისაკენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ თავის XXI ყრილობაზე დაამტკიცა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პროგრამა, სრული სოციალისტური საზოგადოების აშენებისა და კომუნიზმისაკენ წრნსვლის გეგმებს ადგენენ ახლა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებშიც. პოლონური გაზეთი „ტრიბუნა ლიუდუ“, შეფასებას აძლევდა რა სკკპ XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების მნიშვნელობას, წერდა, რომ სოციალისტური ქვეყნები ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის საფუძველზე თანდათანობით „გაუსწორებენ ფრონტს“ ერთიმეორეს და ერთად მიაღწევენ საერთო მიზანს — კომუნიზმს.

„ჩვენ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, — წერს ბულგარული გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“, — ჩვენი პარტიის არსებობა ისეთი სახით, როგორიც იგი არის ამჟამად, რომ არ იყოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია — ეს უბადლო სკოლა და მთავარი მასწავლებელი; ჩვენ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ჩვენი ქვეყნის არსებობა ისეთი სახით, როგორიც იგი ამჟამად არის, რომ არ იყოს დიდი საბჭოთა კავშირი — ეს ფუძემდებელი, დამცველი და ძმა, ყოველთვის დამხმარე და გზის მაჩვენებელი“.

ამრიგად, წინააღმდეგ რევიზიონისტებისა და კომუნიზმის ყველა ჯურის მტრებისა, მარქსისტ-ლენინელები ლაპარაკობენ არა ე. წ. „ჰეგემონიაზე“, არამედ სკკპ და სსრ კავშირის მდიდარი გამოცდილების მოქმედების სახელმძღვანელოდ გამოყენებაზე, სოციალისტური ქვეყნების ხალხთა თანასწორუფლებიანობაზე, ძმურ ურთიერთდახმარებასა და ურღვევ თანამეგობრობაზე.

ამჟამად მსოფლიოში აღარ არიან ისეთი ძალები, რომლებსაც შეეძლოთ დაძლიონ სოციალისტური ბანაკი და აღადგინონ კაპიტალიზმი სსრ კავშირსა და სოციალიზმის სხვა ქვეყნებში. სწორედ ამას ეწოდება სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ იმპერიალიზმს აღარ ძალუძს ომის გაჩაღება, სოციალიზმის ქვეყნებზე თავდასხმა. ომის საფრთხე კვლავ არსებობს და მისი ძირითადი წყარო ამერიკის იმპერიალიზმია, რომელიც მსოფლიო ბატონობაზე ოცნებობს. ამიტომ მშვიდობისათვის ბრძოლაში სოციალიზმის ქვეყნების, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხთა ინტერნაციონალური სოლიდარობის კიდევ უფრო განმტკიცება თანამედროვე მოვლენის ცენტრალური ამოცანაა.

მშვიდობის საერთაშორისო ძალები ამჟამად იმდენად ძლიერი არიან, რომ არსებობს რეალური შესაძლებლობა ალაგმულ იქნას ყოველი აგრესორი. საბჭოთა კავშირს აქვს საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები, ჩვენს მხარეზეა უპირატესობა ატომური და წყალბადის იარაღისა და ყველა სახის რაკეტის წარმოებაში. მაგრამ ყოველივე ეს სრულებითაც არ გვაძლევს უფლებას განცხრომას მივეცეთ და შევანელოთ ბრძოლა სახელმწიფო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ინტერნაციონალური ერთიანობის შევდგომი განმტკიცებისათვის. ბუნებრივია, რომ საბჭოთა შვიდწლედის გრანდიოზული ამოცანების წარმატებით განხორციელება, ყველა სოციალისტური ქვეყნის შემდგომი წინსვლა კიდევ უფრო უძლეველს გახდის მშვიდობის, დემოკრატიისა და კომუნიზმის ძალებს.

„მართლაც, — აღნიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში სკკპ XXI ყრილობაზე, — როცა სსრ კავშირი გახდება მსოფლიოს პირველი სამრეწველო სახელმწიფო, როცა მძლავრი ინდუსტრიული სახელმწიფო გახდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ხოლო სოციალისტური ქვეყნები ყველანი ერთად გამოუშვებენ მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის ნახევარზე მეტს, საერთაშორისო ვითარება ძირეულად შეიცვლება. სოციალისტური ბანაკის ქვეყნების

ᲒᲣᲚᲒᲠᲘᲚᲝᲑᲐ, ᲣᲡᲣᲚᲒᲣᲚᲝᲑᲐ

ᲒᲝᲠᲓᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐ-ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲢᲨᲘ ᲬᲘᲗᲚᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲛᲣᲧᲐᲠᲓᲔᲡ

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ, ᲣᲪᲮᲝᲚᲝᲑᲐ

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ, ᲣᲪᲮᲝᲚᲝᲑᲐ

ᲐᲥ ᲓᲐᲘᲒᲐᲓᲐ ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

Კ. ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚ-ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲨᲘ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲘ�გᲜᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

„ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ ᲨᲔᲔᲥᲚᲝᲡ“

„ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲬᲧᲚᲔᲑᲘ ᲣᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ“

„ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲢᲐᲙᲘᲕᲘᲚᲘ“

ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲑᲠᲝᲨᲣᲠᲐ

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲣᲕᲐᲠᲔᲚᲘ.

(„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠ.). ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲔᲠᲐ... 14 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲣᲕᲐᲠᲔᲚᲨᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲟᲘᲝᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲝᲢᲔ ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ-ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ.

...ᲓᲘᲓᲘᲓᲐᲜ ᲒᲕᲔ ᲣᲬᲧᲕᲘᲢ ᲜᲐᲯᲐᲓᲐᲓ ᲛᲝᲓᲘᲜᲔᲑᲐ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲣᲕᲐᲠᲚᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡᲐᲙᲔᲜ. ᲘᲥᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲡᲐᲮᲔᲘᲝᲓᲝ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲠᲗᲣᲚᲘ. ᲗᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲠᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲓᲐᲛᲬᲘᲜᲐᲠᲔ ᲛᲔᲠᲘᲜᲓ

Ჯ. ᲑᲠᲔᲜᲢᲐᲜᲝᲛ ᲡᲐᲓᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ Ა. Ა. ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲝᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ

ᲓᲔᲚᲘ, 13 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲡᲞᲔᲪ. ᲙᲝᲠᲠ.). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰ. ბრენტანომ გუშინ საღამოს სადილი გამართა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს პატივსაცემად.

სსრ კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ ვ. ა. ზორინი, ა. ა. სმირნოვი, ი. ი. ილიჩოვი, ა. მ. ალექსანდროვი, რ. ა. სერგეევი; გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მხრივ სადილზე იყვნენ ვ. გრეგერ, თ. �კერტი, გ. დუკეიცი და სხვა ოფიციალური პირნი.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲞᲠᲐᲰᲐ, 12 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ჩეხოსლოვაკიამ განაცხადა, რომ იგი სავსებით უპერს მხარს საბჭოთა წინადადებებს ქენევის თათბირზე სრულიად გერმანიის კომიტეტის შექმნისა და დასავლეთ ბერლინის დროებითი სტატუსის შესახებ.

ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, რომელიც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტომ გადმოსცა, ნათქვამია, რომ საჭიროა უარი ითქვას დასავლეთ გერმანიის არმიის ატომური და რაკეტული შეიარაღების პროგრამის განხორციელებაზე. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას ამასთან დაკავშირებით უნდა მიეღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შესაბამისი წინადადებანი.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობა ფიქრობს, რომ დასავლეთ გერმანიაში მიღებულ უნდა იქნას ღონისძიებანი იმისათვის, რომ შეწყდეს რევანშისტული პროპაგანდა გერმანიის ყველა მეზობლის მიმართ.

ᲙᲝᲠᲔᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 14 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲙᲝᲠᲠ.). ნიუ-იორკის „ულდიდეს საგამოფენო დარბაზში „კოლიზეუმში“ გაჩაღებულია მუშაობა მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დარგში საბჭოთა კავშირის მიღწევების გამოფენის მოსამზადებლად, რომელიც იხსნება 30 ივნისს. ამონტაჟებენ ბევრ სტენდს, მაკეტს, დგამენ ექსპონატებს.

გამოფენის ერთ-ერთი ულდიდესი განყოფილება მიეძღვნება საბჭოთა მეცნიერების ნარმატებებს, საბჭოთა მეცნიერების ნაშრომების ფიზიკის, ქიმიის, გეოლოგიის, ბიოლოგიისა და ცოდნის სხვა დარგებში, აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში მეცნიერული კვლევის შედეგებს პრაქტიკულ გამოყენებას.

ატომგულის ფიზიკის ორიგინალურად გაფორმებულ სტენდზე გამოფენის მნახველნი გაეცნობიან საბჭოთა ფიზიკოსების თვალსაჩინო ნაშუშევრებს „ჩერენკოვის გამოსხივების“. შესასწავლად, რომლის აღმოჩენისა და თეორიული დასაბუთებისათვის საბჭოთა მეცნიერებს ჩერენკოვს, ტამსა და ფრანკს მიენიჭათ 1958 წლის საერთაშორისო ნობელის პრემია. აქვე ექსპონირებულია ჩერენკოვის მრიცხველი. იგი აღრიცხავს კოსმოსურ სხივებს, რომლებიც აღწევენ გამოფენის დარბაზში, აგრეთვე მათი მოძრაობის მიმართულებას. პატარა ბნელ კამერაში მნახველები უშუალოდ დაინახავენ ჩერენკოვის გამოსხივებას. გამოფენის ამავე განყოფილებაში ნაჩვენები იქნება დიაპოზიტივები, რომლებიც უჩვენებენ საბჭოთა ფიზიკოსების ნაშრომებს მძიმე ბირთვების სპონტანურ გაყოფაში, ატომგულის ელექტროკოპაში და სხვ. ეკრანებზე, რომლებიც დაიდგმება თითო მეტრი სიმაღლის სამ ნაჩვენები იქნება ხელსაწყო „თერმოდი“, რომელიც მოქმედებს ნახევარგამტართა ბატარეა-დიდებით და ეროვნული ეკონომიკა. ამ ბატარეა-დიდებით ... ელექტრონული ... ...